სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მინდელის ქუჩა №9
0186 თბილისი, საქართველო
+995 32 247 33 33
info@naec.ge

09/12/2025

MES 7 25 0001758284

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ცენტრი) 2025 წლის წლიურ ანგარიშს (9 დეკემბრის მდგომარეობით) საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

2025 წელს ცენტრი საჯარო ინფორმაციის გაცემისას ეყრდნობოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, ცენტრის იურიდიული სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით, ახორციელებდა ცენტრის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - ცენტრის სარეგისტრაციო მასალების ანალიზისა და საგამოცდო პროცესების მართვის სამსახურის კოორდინატორი, ნანა გაფრინდაშვილი.

1) 2025 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით, ცენტრში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით რეგისტრირებულია 51 (ორმოცდათერთმეტი) განცხადება. მათ შორის:

ა) დაკმაყოფილდა - 45 (ორმოცდახუთი) განცხადებაში მითითებული მოთხოვნა;

ბ) მიმდინარეობს წარმოება - 3 (სამი) განცხადებაზე;

გ) უწყებრივი ქვემდებარეობით განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ შესაბამის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - 1 (ერთი) განცხადება;

დ) მიღებულია გადაწყვეტილება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ - 2 (ორი) განცხადებაზე.
აღნიშნულ შემთხვევაში უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი: მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეეხებოდა ცენტრში დაცულ საჯარო ინფორმაციას ან მოთხოვნილი იყო პერსონალური მონაცემები (მონაცემთა სუბიექტის თანხმობის წარმოდგენის ან შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე), მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დამუშავებული ცენტრში, არ იყო დაზუსტებული მოთხოვნა ან/და განცხადება არ იყო წარმოდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

2) ცენტრში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით წარმოების ფარგლებში, თანამშრომლების მხრიდან არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;

3) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

4) ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები ცენტრს არ გაუწევია.

პატივისცემით,

სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
დირექტორი
წერეთელი ნინო